

დანართი №3

*დამტკიცებული ახალი რედაქცია 2020
წლის 25 დეკემბერს აკადემიური საბჭოს
№4 დადგენილებით*

*ცვლილება შევიდა 2022 წლის 18 აპრილის
სკოლის საბჭოს №7 დადგენილებით*

**შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი,
ბათუმი“**

გამოცდის ჩატარების წესი

ბათუმი
2022

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი.....	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება	3
მუხლი 3. გამოცდის ჩატარების ფორმები.....	3
მუხლი 4. ტესტური გამოცდის ჩატარების თავისებურებები.....	4
მუხლი 5. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ჩატარების თავისებურებები	5
მუხლი 6. ონლაინ გამოცდების ჩატარების თავისებურებები.....	5
მუხლი 7. გამოცდის ჩატარების პროცედურა.....	6
მუხლი 8. გამოცდაზე რეგისტრაციის პროცესი.....	6
მუხლი 9. საგამოცდო ცენტრში სტუდენტის ქცევის წესი.....	7
მუხლი 10. გამოცდის მიმდინარეობის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.....	9
მუხლი 11. გამოცდის შედეგები.....	9
მუხლი 12. გამოცდის გაუქმება.....	10
მუხლი 13. გამოცდის აღდგენა.....	10
მუხლი 14. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლის უფლება - მოვალეობები	11
მუხლი 15. გასაჩივრების წესი	11
მუხლი 16. საპრეტენზიო განაცხადი.....	11
მუხლი 17. სააპელაციო განაცხადი.....	12
მუხლი 18. სააპელაციო კომისია.....	14
მუხლი 19. დასკვნითი დებულებანი.....	15

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. “გამოცდის ჩატარების წესი“ (შემდეგში - „წესი“) არეგულირებს შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმში“ (შემდეგში - „სასწავლო უნივერსიტეტი“) გამოცდის ჩატარებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ და ორგანიზაციულ საკითხებს.
2. სასწავლო უნივერსიტეტი გამოცდებს ატარებს ამ წესის შესაბამისად და მისი დაცვა თანაბრად ევალება სტუდენტებსა და დასაქმებულებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე წესში მითითებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) **გამოცდის ჩატარებაზე უფლებამოსილი სტუდენტი** - პირი, რომელიც სწავლობს სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსზე, აქვს აქტიური სტუდენტის სტატუსი და რომელსაც დამლეული აქვს სასწავლო კურსისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
 - ბ) **დამკვირვებელი** - პირი, რომელიც ახორციელებს საგამოცდო პროცესზე ზედამხედველობას.
 - გ) **შემფასებელი** - სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, ან შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასებისთვის შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საგამოცდო პროცესის შეფასებისთვის მოწვეული სპეციალისტი.
 - დ) **სააპელაციო კომისია** - გამოცდების, საგამოცდო ცენტრის მიერ მიღებული საპრეტენზიო/სააპელაციო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა თუ აპელაციასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევის მიზნით რექტორის ბრძანებით შექმნილი დროებითი კომისია.
 - ე) **საგამოცდო ცენტრი** - სასწავლო უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში არსებული სტრუქტურული ერთეული.
 - ვ) **სკოლა** - სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლა.

მუხლი 3. გამოცდის ჩატარების ფორმები

1. სასწავლო უნივერსიტეტში გამოცდის ტიპებია: შუალედური გამოცდა, ბლოკის გამოცდა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) და დასკვნითი გამოცდა.
 - ა) სემესტრის მანძილზე თითოეულ არაინტეგრირებულ სასწავლო კურსში სტუდენტს უტარდება ერთი ან ორი შუალედური გამოცდა სემესტრის მიმდინარეობისას, შესაბამისი საგნის სილაბუსით დადგენილი ფორმატით;

- ბ) ინტეგრირებული მოდულის შემთხვევაში თითოეული მოდულის დასრულებისთანავე სტუდენტს უტარდება ბლოკის გამოცდა;
- გ) სემესტრის ბოლოს სასესიო პერიოდში თითოეულ სასწავლო კურსსა და ინტეგრირებულ მოდულში სტუდენტს უტარდება თითო დასკვნითი გამოცდა.
2. გამოცდა ტარდება პროგრამის განხორციელების ენაზე, გარდა ენობრივი სასწავლო კურსებისა. საგამოცდო პროცესის ყველა მონაწილე ვალდებულია საგამოცდო პროცესის დროს კომუნიკაცია აწარმოოს პროგრამის განხორციელების ენაზე.
 3. შუალედური და დასკვნითი გამოცდები შეიძლება ჩატარდეს წერითი, ტესტის, ზეპირი, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდის (OSPE) ან კომბინირებული სახით სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსში. ტესტირება ელექტრონული ფორმით ტარდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა KEYPS გამოყენებით.
 4. გამოცდის შეფასების მეთოდი და გამოცდაზე დაშვების ბარიერი რეგულირდება შესაბამისი საგნის სილაბუსითა და „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ შესაბამისად.
 5. არაინტეგრირებული სასწავლო კურსისთვის ტესტური შუალედური გამოცდის ხანგრძლივობაა 50 წუთი, ინტეგრირებული ბლოკის ტესტური გამოცდის - 80 წუთი, ხოლო ენის შუალედური გამოცდის ხანგრძლივობაა 90 წუთი.
 6. არაინტეგრირებული სასწავლო კურსისთვის ტესტური დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობაა განისაზღვრება ტესტების რაოდენობიდან გამომდინარე, 1 ტესტზე 1 წუთით. ენის დასკვნითი გამოცდის ხანგრძლივობაა 120 წუთი.
 7. წერითი გამოცდის შემთხვევაში შუალედური და ბლოკის გამოცდა მიმდინარეობს არაუმეტეს ერთი საათი, ხოლო დასკვნითი გამოცდა არაუმეტეს ორი საათი.
 8. ზეპირი გამოცდის შემთხვევაში ერთი სტუდენტისათვის პასუხის მოფიქრების დრო შეადგენს 10 (ათი) წუთს და გამოცდის დრო მაქსიმუმ 10 (ათი) წუთს.

მუხლი 4. ტესტური გამოცდის ჩატარების თავისებურებები

1. ტესტური გამოცდები ჩატარდება უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის პლატფორმის KEYPS მეშვეობით, რომელიც იძლევა საშუალებას წერილობითი გამოცდა ჩატარდეს შემდეგი ტიპის კითხვების გამოყენებით:
 - ა) მრავლობითპასუხიანი ერთი სწორი პასუხის არჩევით;
 - ბ) ღია კითხვა მოკლე პასუხით;
 - გ) ღია კითხვა გამოტოვებული სიტყვების ჩასმით;
 - დ) კითხვის და შესაბამისი პასუხების ერთმანეთთან დაკავშირება;
 - ე) მრავლობითპასუხიანი ერთზე მეტი სწორი პასუხით.
2. თითოეულ საგამოცდო კითხვას სისტემაში მინიჭებული აქვს ლიმიტირებული სხვადასხვა დრო, ტესტის სირთულიდან გამომდინარე.

3. სტუდენტი ვალდებულია ლიმიტირებულ დროში შეასრულოს შესაბამისი მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვა ეკრანიდან გაქრება და იმავე კითხვასთან დაბრუნება შეუძლებელი იქნება.

მუხლი 5. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ჩატარების თავისებურებები

1. გამოცდა ტარდება OSCE-სთვის განკუთვნილ სპეციალურ სივრცეში, სადაც უშუალოდ გამოცდის წინ განთავსდება სადგურები. სადგურების რაოდენობა მერყეობს სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. მინიმალური რაოდენობა შეადგენს 8 ხოლო მაქსიმალური რაოდენობა 14 სადგურს.
2. თითოეულ სადგურზე სტუდენტი ყოვნდება 5-7 წუთი, ერთი სადგურიდან მეორე სადგურზე გადასვლას ეთმობა 30 წამი. სადგურში შესვლასა და გამოსვლას ავტომატურად აღრიცხავს სასიგნალო ზარი და გამოცდის დამკვირვებელი.
3. გამოცდის დაწყებამდე სტუდენტებს ურიგდებათ სანომრე ნიშნები გულმკერდზე მისამაგრებლად და სადგურების სია დასრულებული სადგურის მონიშვნის მიზნით.
4. სადგურის შესასვლელ კარზე გაკრულია სადგურის სახელწოდება და ნომერი. სადგურში დევს ამობეჭდილი დავალება და დავალებისათვის საჭირო ყველა აღჭურვილობა და/ან მანეკენი, ან სადგურში იმყოფება სიმულაციური ან სტანდარტიზებული პაციენტი. სადგურში შესაძლებელია იმყოფებოდეს შემფასებელიც.
5. სადგურებზე დამონტაჟებულია კამერები, რომლებიც იწერენ გამოცდის მსვლელობას, ხოლო გამოცდის ჩანაწერი ინახება 3 დღის განმავლობაში.

მუხლი 6. ონლაინ გამოცდების ჩატარების თავისებურებები

1. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოცდის ჩატარება ონლაინ პლატფორმის გამოყენებით. იგივე წესი მოქმედებს იმ სტუდენტებზე, რომელთაც საპატიო მიზეზით სკოლის მიერ დაერთო ნება გამოცდის ონლაინ ჩაბარებაზე.
2. ონლაინ გამოცდაზე სტუდენტი ვალდებულია ჩართული ჰქონდეს კამერა და იმყოფებოდეს კამერის ხედვის არეალში სრულად, კლავიატურისა და სამუშაო მაგიდის ჩათვლით. საგამოცდო საკითხის მოფიქრებისას ჩანაწერები უნდა გააკეთოს ფურცელზე კალმით, რომლის გამოყენების უფლება აქვს გამოცდის მსვლელობისას.
3. სტუდენტს უფლება აქვს თვალი გადაავლოს თავის ჩანაწერებს, მაგრამ არა აქვს მისი სრულად წაკითხვის უფლება.
4. პასუხისას სტუდენტი ვალდებულია გააზიაროს თავისი ეკრანი. პასუხისას სახე და ხელები უნდა მოაქციოს კამერის მხედველობის არეში.
5. დაუშვებელია გამოცდაზე დაგვიანება, ინტერნეტ კავშირის ხარვეზის შემთხვევაში კი, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს მტკიცებულება ვიდეოჩანაწერის სახით ინტერნეტ კავშირის ხარვეზის შესახებ.
6. საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს ონლაინ გამოცდის ვიდეო და აუდიო ჩაწერას.

მუხლი 7. გამოცდის ჩატარების პროცედურა

1. გამოცდების ორგანიზებას ახორციელებს მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლაში შექმნილი საგამოცდო ცენტრი წინამდებარე წესის შესაბამისად. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ორგანიზებაში ჩართულია ასევე კლინიკური უნარების ცენტრი.
2. საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს იმ გამოცდათა ჩატარებას, რომელიც ტარდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ან ზეპირი სახით.
3. ცენტრი უზრუნველყოფს სტუდენტს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო მასალებითა და ტექნიკური საშუალებებით.
4. მოდულის/ბლოკის ან სასწავლო კურსის კოორდინატორები ვალდებული არიან საგამოცდო საკითხთა ნიმუშებისა და ტესტების (ტესტების შემთხვევაში სწორ პასუხებთან ერთად) საკითხები ბლოკის/სასწავლო კურსის გამოცდამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა მიაწოდოს საგამოცდო ცენტრს, რომელიც ახორციელებს მათ პროგრამულ დამუშავებასა და გამოცდისთვის მომზადებას.
5. საგამოცდო ცენტრი საგამოცდო პროცესზე მონიტორინგს ახორციელებს დამკვირვებელთა ჯგუფის მონაწილეობით. დამკვირვებელთა შემადგენლობა და საგამოცდო განრიგი საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელთან შეთანხმებით მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირისა.
6. გამოცდის ჩატარებაზე უფლებამოსილი სტუდენტის შეფასებას ახორციელებს ერთი ან რამდენიმე შემფასებელი, რომლებიც წარმოადგენენ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს. შემფასებელთა შემადგენლობა პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით მტკიცდება სკოლის საბჭოს მიერ საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირისა.
7. სკოლა გამოცდამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელს აწვდის იმ სტუდენტთა სიას, რომლებიც დაიშვებიან გამოცდაზე. სტუდენტები, რომლებიც არ იქნებიან სკოლის მიერ მოწოდებულ სიაში გამოცდაზე არ დაიშვებიან.
8. შესაბამის სასწავლო კურსზე რეგისტრირებულ სტუდენტებს, გამოცდამდე არაუგვიანეს ორი დღისა, შესაბამისი კურსის ტუტორის მიერ ეგზავნებათ შეტყობინება გამოცდაზე დაშვების/არდაშვების შესახებ.

მუხლი 8. გამოცდაზე რეგისტრაციის პროცესი

1. გამოცდაზე რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე 10 (ათი) წუთით ადრე.
2. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის/პასპორტის დამადასტურებელი დოკუმენტი, სტუდენტის იდენტიფიცირების მიზნით. ელექტრონული გამოცდის შემთხვევაში სტუდენტის

იდენტიფიკაცია ხდება მისი საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის მისამართისა და ვიზუალური დაკვირვების შედეგად

3. თუ სტუდენტი გამოცდაზე დააგვიანებს არაუმეტეს 10 (ათი) წუთს, ის შეიძლება დაშვებულ იქნეს გამოცდაზე, თუმცა მას არ მიეცემა დამატებითი საგამოცდო დრო. 10 (ათი) წუთზე მეტი დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე და უფორმდება შეფასება „ნული“ (0) ქულით.
4. გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო ცენტრის თანამშრომელი (ან დამკვირვებელი) აცნობს სტუდენტებს გამოცდაზე ქცევის წესებს.
5. გამოცდის დროის ათვლა სააუდიტორიო გამოცდის დროს იწყება გამოცდის ჩაბარებაზე უფლებამოსილი სტუდენტის, დამკვირვებლისა და შემფასებლის გამოცდაზე რეგისტრაციისა და გამოცხადების შემდეგ, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლის მიერ დროის ათვლაზე შეტყობინების მომენტიდან.
6. ტესტური გამოცდა იწყება ავტომატურად, გამოცდის დაწყების მითითებულ დროს.
7. ელექტრონული გამოცდის დროს გამოცდის დროის ათვლა იწყება გამოცდის ჩაბარებაზე უფლებამოსილი სტუდენტის, დამკვირვებლისა და შემფასებლის გამოცდაზე რეგისტრაციის შემდეგ, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლის მიერ დროის ათვლაზე შეტყობინების მომენტიდან.
8. გამოცდის დასრულებამდე 10 (ათი) წუთით ადრე საგამოცდო ცენტრის თანამშრომელი (ან დამკვირვებელი) სტუდენტებს აცნობებს დარჩენილი დროის შესახებ. ეს წესი არ ვრცელდება ზეპირი ფორმის გამოცდაზე.

მუხლი 9. საგამოცდო ცენტრში სტუდენტის ქცევის წესი

1. გამოცდის ჩატარებისას სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრში, გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) წუთით ადრე, ელექტრონული გამოცდის შემთხვევაში - დაამყაროს ელექტრონული კავშირი საგამოცდო ცენტრთან გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) წუთით ადრე.
 - ბ) ჩააბაროს საგამოცდო ცენტრის თანამშრომელს (ან დამკვირვებელს) მობილური ტელეფონი და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები (ლეპტოპი, პლანშეტი, ელექტრონული წიგნი და ნებისმიერი სხვა მოწყობილობა აუდიო-ვიზუალური გამოსახულების ან/და კავშირის ფუნქციონალით).
 - გ) დაემორჩილოს საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლისა და დამკვირვებლის მითითებას. დაუმორჩილებლობა, შეურაცხყოფის მიყენება ან სხვაგვარად გამოცდის მსვლელობის შეფერხება გამოიწვევს სტუდენტის გამოცდიდან მოხსნას;
 - დ) გამოცდის მსვლელობისას შეინარჩუნოს სიმშვიდე. დაუშვებელია ადგილიდან წამოძახილი ან ხმამაღალი საუბარი საკუთარ თავთან;
 - ე) გამოცდის დროზე ადრე დასრულების შემთხვევაში ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს და ჩააბაროს საგამოცდო ნაშრომი და ასევე შავი სამუშაოსთვის განკუთვნილი ფურცელი;
 - ვ) ნაშრომის ჩაბარების შემდეგ დატოვოს საგამოცდო აუდიტორია.

2. ელექტრონული გამოცდის შემთხვევაში სტუდენტი პასუხისმგებელია მისი ონლაინ კავშირის უწყვეტობაზე.
3. გამოცდის დროს სტუდენტს ეკრძალება:
 - ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების ქონა;
 - ბ) გამოცდაზე დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების (გარდა საგამოცდო ცენტრის მიერ გადაცემული თაბახის ფურცლებისა) და მასალის გამოყენება;
 - გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა სტუდენტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
 - დ) ნებისმიერი ნივთის შეტანა გამოცდაზე, გარდა წყლისა და ქალაღდის ხელსახოცისა;
 - ე) საგამოცდო ცენტრში ქურთუკითა და ქუდით გამოცხადება;
 - ვ) სამუშაო ადგილის დატოვება უნებართვოდ. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;
 - ზ) სამუშაო ადგილზე სხვა ნივთების მოთავსება, გარდა საგამოცდო ცენტრის მიერ ნებადართული ნივთებისა;
 - თ) ნაშრომზე მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;
 - ი) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ნაშრომზე მუშაობის გაგრძელება.
4. გამოცდის მსვლელობის დროს სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას:
 - ა) გამოცდაზე დამხმარე მასალის აღმოჩენის შემთხვევაში;
 - ბ) გადალაპარაკების, ზედმეტი გაუმართლებელი მოძრაობის, დახმარების გაწევა/მიღების ან სხვა სტუდენტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლის შემთხვევაში;
 - გ) სამუშაო ადგილზე იმ ნივთების განთავსების შემთხვევაში, რომელიც არ არის ნებადართული;
 - დ) შესაბამისი მითითების გარეშე ნაშრომზე მუშაობის დაწყების შემთხვევაში.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევის განმეორების შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და მისი ნაშრომი შეფასდება „ნული“ (0) ქულით, რაც ფორმდება საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელის აქტით.
6. გაფრთხილების გარეშე სტუდენტის გამოცდიდან მოხსნა შესაძლებელია:
 - ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული საშუალების აღმოჩენის შემთხვევაში;
 - ბ) წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;
 - გ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.
7. სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე:
 - ა) თუ სტუდენტი არ არის გამოცდის ჩაბარებაზე უფლებამოსილი სტუდენტების სიაში;

- ბ) პირადობის/პასპორტის არქონის შემთხვევაში, თუ ვერ ხდება სტუდენტის იდენტიფიცირება;
- გ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას;
- დ) მობილური ტელეფონისა და სხვა ტექნიკის ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

8. სტუდენტის ნაშრომი არ გასწორდება და გაუფორმდება შეფასება „ნული“ (0) ქულა თუ:
- ა) სტუდენტი საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ ჩააბარებს საგამოცდო ნაშრომს;
 - ბ) დააზიანებს საგამოცდო ნაშრომს;
 - გ) ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 10. გამოცდის მიმდინარეობის აუდიო-ვიდეო ჩაწერა

1. ყველა ტიპის გამოცდაზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოცდის აუდიო-და ვიდეო ჩაწერას, ხოლო ონლაინ გამოცდის შემთხვევაში - ონლაინ პროცესის ჩაწერას და ამ ინფორმაციის შენახვას 3 დღის განმავლობაში. გამოცდის გასაჩივრების შემთხვევაში, აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ინახება საპრეტენზიო/სააპელაციო წარმოებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.
2. სტუდენტებსა და საგამოცდო პროცესში მონაწილე ყველა სხვა პირს წინასწარ ეცნობება გამოცდის მიმდინარეობის აუდიო-ვიდეო მონიტორინგისა და ჩანაწერის შესახებ.
3. სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს გამოცდის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი.

მუხლი 11. გამოცდის შედეგები

1. თუ გამოცდა ტარდება კომპიუტერული ტესტების ფორმით, სტუდენტისათვის გამოცდის შედეგები ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 დღისა.
2. თუ გამოცდა ტარდება წერილობითი სახით, ნაშრომის გასწორებას უზრუნველყოფს საგნის ლექტორი. 25-მდე ნაშრომის შემთხვევაში, გამოცდის შედეგები ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებიდან სამი სამუშაო დღის, ხოლო 25-ზე მეტი ნაშრომის შემთხვევაში - ერთი კვირის ვადაში.
3. თუ გამოცდა ტარდება ზეპირი სახით, გამოცდის შედეგები ცნობილი ხდება სტუდენტისათვის გამოცდის დასრულებისთანავე.
4. ამ მუხლის 1-3 პუნქტებში მითითებული ვადის დაუცველობის შემთხვევაში საგამოცდო ცენტრი ან/და შემფასებელი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ სკოლის დეკანს.

5. საგამოცდო შედეგები აისახება ასევე ელექტრონულ მართვის სისტემაში (KEYPS), სადაც სტუდენტი ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის მეშვეობით ეცნობა საგამოცდო შედეგებს.
6. დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დამატებითი გამოცდების კვირაში.
7. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან/ელექტრონული მართვის სისტემაში (KEYPS) ასახვიდან არანაკლებ 5 დღე.

მუხლი 12. გამოცდის გაუქმება

1. გამოცდის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში თუ:
 - ა) არსებობს ინფორმაცია საგამოცდო საკითხებზე არავტორიზებულ პირთა წვდომის შესახებ;
 - ბ) საგამოცდო საკითხები შეუსაბამოა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნებთან ან/და სილაბუსთან.
2. ამ მუხლის მიზნებისთვის არავტორიზებულ პირებად მიიჩნევა ყველა გარდა სასწავლო კურსის შემფასებლისა და საგამოცდო ცენტრის თანამშრომლისა.
3. გამოცდის გაუქმება შესაძლებელია შესაბამისი სემესტრის დასკვნითი გამოცდების დასრულებამდე.
4. გადაწყვეტილება გამოცდის გაუქმების თაობაზე მიიღება სკოლის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით. დასაშვებია გადაწყვეტილებაში არ მიეთითოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შესახებ ინფორმაციის წყარო.

მუხლი 13. გამოცდის აღდგენა

1. გამოცდის აღდგენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არსებული მტკიცებულებებით დასტურდება სტუდენტის მიერ გამოცდის ისეთი საპატიო მიზეზით გაცდენა, როგორცაა ავადმყოფობა, რომელიც მოითხოვს პირის იზოლაციას ან სტაციონარში მოთავსებას ან/და საგამოცდო ადგილას გამოცხადების სხვა დამაბრკოლებელი დაუძლეველი გარემოებების შემთხვევაში.
2. გამოცდის აღდგენის შესახებ სტუდენტის დასაბუთებული განცხადება საგამოცდო ცენტრში შეიტანება შესაბამისი მიზეზის ამოწურვიდან 1 დღის ვადაში. განცხადებაში სტუდენტი ვალდებულია დაასაბუთოს გამოცდაზე გასვლის ფაქტობრივი შეუძლებლობა, ასევე ზუსტად მიუთითოს საპატიო გარემოების ვადები და წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.
3. სემესტრის დასრულების შემდეგ გამოცდის აღდგენა დაუშვებელია.

მუხლი 14. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებლის უფლება - მოვალეობები

1. საგამოცდო პროცესის დროს საგამოცდო ცენტრში/ელექტრონულ საკომუნიკაციო სივრცეში დაშვებულია მხოლოდ იმ პირების ყოფნა, რომელთა შემადგენლობაც დამტკიცებულია სკოლის საბჭოს მიერ.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ პირთა საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას, აგრეთვე, საგამოცდო ცენტრში მყოფ პირებს ეკრძალებათ ტესტის შინაარსთან დაკავშირებით სტუდენტის დახმარება.
3. საგამოცდო ცენტრის დამკვირვებელი ვალდებულია უზრუნველყოს:
 - ა) სკოლის მიერ მოწოდებული სიების მიხედვით სტუდენტთა რეგისტრაცია;
 - ბ) საგამოცდო საკითხთა დარიგება და შეგროვება საგამოცდო ვადის ამოწურვისთანავე;
 - გ) გამოცდის დაწყებამდე სტუდენტთათვის გამოცდაზე ქცევის წესის გაცნობა;
 - დ) საგამოცდო პროცესის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა (გამოცდის ვადის ამოწურვამდე) და სტუდენტის მიერ ამ წესის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;
 - ე) გამოცდის თითოეული ტიპისთვის ამ წესით განსაზღვრული დროის ლიმიტის მონიტორინგი და აღნიშნულის შესახებ გამოცდაზე მყოფ პირთა ინფორმირება.
 - ვ) სტუდენტის თანხლება, საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას სტუდენტის მოთხოვნისა შემთხვევაში.

მუხლი 15. გასაჩივრების წესი

1. სტუდენტს უფლება აქვს წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი გამოცდის პროცედურის დარღვევის ფაქტთან, ასევე სააპელაციო განაცხადი საგამოცდო მასალის შინაარსთან (სილაბუსთან შესაბამისობა ან/და ტექნიკური შეცდომა) ან/და გამოცდის შეფასებასთან დაკავშირებით.

მუხლი 16. საპრეტენზიო განაცხადი

1. სტუდენტის საპრეტენზიო განაცხადი შეივსება ამ წესით დამტკიცებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმის შესაბამისად (დანართი №1).
2. საპრეტენზიო განაცხადის ფორმაში აღნიშნული უნდა იყოს:
 - ა) საპრეტენზიო განაცხადის წარმდგენი პირის ვინაობა;
 - ბ) დარღვეული პროცედურის აღწერა;
 - გ) საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის თარიღი.
3. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დაუცველად წარმოდგენილი საპრეტენზიო განაცხადი არ ექვემდებარება განხილვას.

4. საპრეტენზიო განაცხადი სტუდენტის მიერ უნდა იქნეს წარდგენილი გამოცდის დასრულებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. ამ ვადის დარღვევით შეტანილი საპრეტენზიო განაცხადი არ განიხილება.
5. საპრეტენზიო განაცხადი შედის საგამოცდო ცენტრში, რომელსაც კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი მისი მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6. საპრეტენზიო განაცხადის განხილვის შედეგად, საგამოცდო ცენტრი უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილება:
 - ა) საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებისა და სტუდენტისთვის გამოცდის გადაბარების უფლების მინიჭების თაობაზე;
 - ბ) საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
 - გ) საპრეტენზიო განაცხადის განუხილველად დატოვების თაობაზე.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება უნდა იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული.
8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ან თუ ანალოგიურ საპრეტენზიო განაცხადზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.
9. საგამოცდო ცენტრის გადაწყვეტილება საპრეტენზიო განაცხადის თაობაზე შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიასთან.

მუხლი 17. სააპელაციო განაცხადი

1. სტუდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს სააპელაციო განაცხადი საგამოცდო მასალის შინაარსთან (სილაბუსთან შესაბამისობა ან ტექნიკური შეცდომა) ან/და გამოცდის შეფასებასთან დაკავშირებით.
2. სტუდენტის სააპელაციო განაცხადი შეივსება ამ წესით დამტკიცებული სააპელაციო განაცხადის ფორმის შესაბამისად (დანართი №2).
3. სააპელაციო განაცხადის ფორმაში აღნიშნული უნდა იყოს:
 - ა) სააპელაციო განაცხადის წარმდგენი პირის ვინაობა;
 - ბ) დარღვეული შინაარსობრივი ნაწილის ან/და შეფასების აღწერა, გასაჩივრებული გამოცდის კომპონენტისა და სტუდენტის პასუხის სისწორის დამადასტურებელ წყაროზე მითითებით.
 - გ) სააპელაციო განაცხადის წარდგენის თარიღი.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დაუცველად წარმოდგენილი სააპელაციო განაცხადი არ ექვემდებარება განხილვას.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუდენტის პასუხის სისწორის დამადასტურებელ წყაროდ მიიჩნევა სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ან/და დამატებითი ლიტერატურა.
6. სააპელაციო განაცხადი სტუდენტის მიერ უნდა იქნეს წარდგენილი შედეგების გამოქვეყნებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში. ამ ვადის დარღვევით შეტანილი სააპელაციო განაცხადი არ განიხილება.

7. სააპელაციო განაცხადი შედის საგამოცდო ცენტრში, რომელსაც საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი, საგნის შემფასებელთან ერთად, განიხილავს მისი მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8. სააპელაციო განაცხადის განხილვის შედეგად საგამოცდო ცენტრი უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილება:
 - ა) სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებისა და სტუდენტისთვის სადავო საკითხებში/შეფასებებში შეფასების მინიჭების შესახებ;
 - ბ) სააპელაციო განაცხადზე დამატებითი ინფორმაციის დადგენის საჭიროებისა და საპრეტენზიო კომისიის შექმნის მოთხოვნის შესახებ;
 - გ) სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
 - დ) სააპელაციო განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.
9. საგამოცდო ცენტრი უფლებამოსილია მიიღოს ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებისა და სტუდენტისთვის სადავო საკითხებში/შეფასებებში შეფასების მინიჭების შესახებ, თუ სააპელაციო განაცხადის დასაბუთებით და შემფასებელთან კონსულტაციის შედეგად დასტურდება შეცდომა საგამოცდო საკითხსა თუ შეფასებაში. ასეთ შემთხვევაში დგება ჩასწორების ოქმი საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელისა და პედაგოგის ხელმოწერით.
10. საგამოცდო ცენტრი უფლებამოსილია მიიღოს ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სააპელაციო განაცხადზე დამატებითი ინფორმაციის დადგენის საჭიროების შესახებ, თუ საკითხი სცდება საგამოცდო ცენტრის კომპეტენციის ფარგლებს ან/და აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის შესწავლა. აღნიშნულ შემთხვევაში საგამოცდო ცენტრის გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს საპრეტენზიო კომისიის შექმნის დასაბუთება და კომისიის სავარაუდო შემადგენლობა.
11. საგამოცდო ცენტრი უფლებამოსილია მიიღოს ამ მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თუ საგამოცდო ცენტრის მიერ შესწავლილი ინფორმაციით არ დასტურდება შეცდომა საგამოცდო საკითხსა თუ შეფასებაში.
12. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სააპელაციო განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ფორმის დაუცველობას, დასაბუთებაში წყაროების მიუთითებლობას ან არასათანადო წყაროების მითითებას. სააპელაციო განაცხადი განუხილველად რჩება ასევე იმ შემთხვევაში, თუ ანალოგიურ საპრეტენზიო განაცხადზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.
13. საგამოცდო ცენტრის გადაწყვეტილება სააპელაციო განაცხადის თაობაზე შესაძლებელია გასაჩივრდეს სააპელაციო კომისიასთან.

მუხლი 18. სააპელაციო კომისია

1. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო განაცხადი მოითხოვს საკითხზე დამატებითი ინფორმაციის დადგენას, ან სტუდენტის მიერ შემოტანილია არგუმენტირებული საჩივარი, საგამოცდო ცენტრის მიერ საპრეტენზიო/სააპელაციო გადაწყვეტილებაზე რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია.
2. სააპელაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე, არანაკლებ 3 წევრით, რომელთა კომპეტენცია შეესაბამება სადავო საკითხს.
3. არგუმენტირებული წარდგინებით, შესაძლებელია კომისიის შემადგენლობიდან გამოირიცხონ საგამოცდო ცენტრის, ასევე გასაჩივრებული გამოცდის დამკვირვებელთა და შემფასებელთა კანდიდატურები.
4. სააპელაციო კომისიაში უნდა შედიოდეს 1 (ერთი) სტუდენტი სტუდენტური თვითმმართველობიდან, იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს ინტერესთა კონფლიქტი. სტუდენტს, რომელიც მიმდინარე სემესტრში სწავლობს გასაჩივრებულ სასწავლო კურსზე, არ აქვს სააპელაციო კომისიაში მონაწილეობის უფლება.
5. შესაძლებელია საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში გარე მოწვეული პირების ჩართვა.
6. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს ფუნქციონირებას კომისიის შექმნის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემისთანავე.
7. სააპელაციო კომისია სტუდენტის მიერ შესულ საპრეტენზიო განაცხადს განიხილავს, განცხადების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
8. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს და შეისწავლოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა მტკიცებულება, მოუსმინოს აპელანტს, ასევე სხვა პირებს, რომლებიც შეიძლება ფლობდნენ საქმის გადაწყვეტისთვის აუცილებელ ინფორმაციას და მიიღოს გადაწყვეტილება საპრეტენზიო კომისიის ოქმის სახით.
9. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული, აღწერდეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების და მტკიცებულების შეფასებას. ყველა საექვო მტკიცებულება უნდა შეფასდეს აპელანტის სასარგებლოდ. სააპელაციო კომისიამ შეიძლება მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა) სტუდენტის სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებულ კომპონენტში სტუდენტისთვის შეფასების მინიჭების შესახებ;
 - ბ) სტუდენტის საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებულ კომპონენტში განმეორებითი გამოცდის ჩატარების შესახებ;
 - გ) სტუდენტის საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
10. კომისია უფლებამოსილია გაავრცელოს დაკმაყოფილებული აპელაციის შედეგები საჩივრის ავტორისათვის ან, ასევე, აპელირებული გამოცდის სხვა მონაწილისთვის, თუ გასაჩივრების შედეგები გავლენას ახდენს მათ შეფასებაზე.
11. სააპელაციო განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე კომისიის წევრთა უმრავლესობით, ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

12. გადაწყვეტილებასთან ერთად, სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია დააფიქსიროს საკუთარი რეკომენდაცია, კენჭისყრის გარეშე.
13. თუ შესწავლილი მტკიცებულებები ეჭვს ბადებს საგამოცდო პროცესის მონაწილის მხრიდან ამ წესის, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების ან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტზე, კომისიის რეკომენდაციებში მიეთითება აღნიშნული ეჭვის შესახებ.
14. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.
15. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში (დანართი №3).

მუხლი 19. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე წესი ძალაში შედის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დამტკიცების მომენტიდან.
2. წინამდებარე წესში ცვლილება/დამატება ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.
3. წინამდებარე დებულება არ ვრცელდება ამ წესის დამტკიცებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

დანართი №1

საპრეტენზიო საჩივრის ფორმა

შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმის“
საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელს

/სახელი გვარი პასპორტის ნომერი/

/კურსი/

/ტელეფონის ნომერი/

(შენიშვნა: გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ დარღვევის შინაარსი)

სახელი გვარი/ ხელმოწერა

/თარიღი/
